

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია შენევაში წამების საწინააღმდეგო კომიტეტში ალტერნატიულ ანგარიშს წარადგენს

2006 წლის 3 მაისს შენევაში გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტში 36-ე სესიაზე განიხილება საქართველოს მე-3 პერიოდული ანგარიში წამებასთან დაკავშირებულ მდგომარეობაზე. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთი ტიპის ანგარიშის განხილვისას მომხსენებელი ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებს ეძლევათ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შესაძლებლობა, წარადგონონ ალტერნატიული ანგარიში.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ, 45 წუთიანი ბრიფინგის განმავლობაში გააუღერონ მთავარი პრობლემატური საკითხები და შეხვდნენ წამების საკითხებზე სპეციალურ მომხსენებელს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის ორგანიზაცია წამების წინააღმდეგ A ზედამხედველობით მოამზადეს ალტერნატიული ანგარიში ზემოაღნიშნული კომიტეტის წინაშე წარსადგენად. ანგარიშის მომზადებაში ასევე მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიის განვითარების ფონდი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ჟენევაში წარმოადგენს ალტერნატიული ანგარიშის თანაავტორი სოფო ჯაფარიძე.